სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N01.501.63

სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
(CPV - 50100000)

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **„08“ ოქტომბერი, 2018 წელი.**

ერთის მხრივ, საქართველოს **შსს სსიპ - „112“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის **ავთანდილ ჩიტაძის** სახით, რომელიც მოქმედებს შსს სსიპ „112“-ის დირექტორის 2018 წლის 29 იანვრის N225944 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში - „მიმწოდებელი), გენერალური დირექტორის - **ავთანდილ წერეთლის** მიერ მინდობილი პირის, გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის **თეიმურაზ დარისპანაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის მოადგილის **2018 წლის 02 ოქტომბერის N2400724** პატაკის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი არის: ავტოტექმომსახურება, ცხრილი N1 - ის მიხედვით.

ცხრილი N1

N	ა/მანქანის დასახელება	საქონელი/მომსახურება	ზომის ერთ.	რ-ბა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	SKODA OCTAVIA OO-013-KK	ყუმბარა გარეთა	ცალი	2	158.00	316.00
2		ტრავერსის მილისა	კომპლექტი	1	136.00	136.00
3		გადაცემათა კოლოფის საყრდენი	ცალი	1	70.00	70.00
4		გარე ყუმბარის (მარცხენა/მარჯვენა) შეცვლა	მომსახურება	2	40.00	80.00
5		ტრავერსის მილისას შეცვლა	მომსახურება	1	80.00	80.00
						682.00

2.2 დაფინანსების წყარო- შსს სსიპ - „112“-ის 2018 წლის საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **682.00** (ექვსასოთხმოცდაორი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა არაუგვიანეს **2018 წლის 15 ოქტომბრის** ჩათვლით.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.2 შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი მხარე - საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - **ვახტანგ ლონდარიძე.**

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **1%-ის** ოდენობით;
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2018 წლის 08 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

შსს სსიპ - „112"
ს/ნ 204 579 429
მის: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
მიმღების ანგარიში,
სახაზინო კოდი; 707147050

დირექტორის მოვალეობის დროებით
შემსრულებელი
ავთანდილ ჩიტაძე

„მიმწოდებელი"

შპს „თეგეტა მოტორსი"
ს/ნ 202 177 205
მის: ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5
ტელ: 224 44 44; 599 09 09 10
ს.ს. „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB 0600 0000 2446 7853

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე
თეიმურაზ დარისპანაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **„08" ოქტომბერი, 2018 წელი.**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ შსს **სსიპ - „112"**-ის მიერ **2018 წლის 08 ოქტომბერს** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შპს „თეგეტა მოტორსისგან"** სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV – 50100000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობით, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შსს სსიპ „112"-ის დირექტორის მოვალეობის

დროებით შემსრულებელი - **ავთანდილ ჩიტაძე**

საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის

მთავარი სპეციალისტი - **ვახტანგ ლონდარიძე**

საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის

შესყიდვების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობის

შემსრულებელი - **ანა მელიქიშვილი**